ტექნიკური დავალება

სოფ. ზედა ბუგეულის წყალსადენის საუბნო ქსელის , სოფ. წკადისისა წყალსადენების სარეაბილიტაციო სამუშაოებზე

გასაწევი მომსახურეობა:

სოფ. ზედა ბუგეულის სოფ. წკადისის წყალსადენების სარეაბილიტაციო სამუშაოები.

შესასრულებელი სამუშაოების ღირებულება არ უნდა აღემატებოდეს ჯამში 10493.53 ლარს დღგ-ის ჩათვლით,თითოეულ ობიტზე შემდეგი ღირებულებებით:

სოფ. ზედა ბუგეულის დამატებითი წყალმომარაგების სისტემის რეაბილიტაციის სამუშაოებზე-9330 ლარს

სოფ. წკადისის ზედმეტი წყლის გადამღვრელი მილდენის მონტაჟის სამუშაოებზე-1163.53ლარს.

შესასრულებელი სამუშაოების სრული აღწერილობა და დეტალური მოცულობები მოცემულია ხარჯთაღრიცხვაში და მოცულობათა უწყისებში. (იხილეთ დანართები)

მიმდინარე პროექტით ხორციელდება შემდეგი სარეაბილიტაციო სამუშაოები.

1. სოფელ ზედა ბუგეულში, არსებულ სათავეზე ხდება d-32 მმ. მილდენის მიერთება. ეწყობა პოლიეთილენის ავზი. ავზდან d-32 მმ. მილდენის მეშვეობით კეთდება მიერთება საუბნო ქსელთან.

2. სოფელ წკადისში სამარაგო ავზის ზედმეტი წყალი გადამღვრელი მილდენით დასახლებაში მიედინება. დასახლებიდან წყლის მოშორების მიზნით ხდება d-75 მმ ლითონის მილზე d-63 მმ პოლიეთილენის მილის მიერთება. მილი თავსდება ზედაპირულად ტყის ზოლზე და გადაედინება ხევში.

მომწოდებელი ვალდებულია:

- სამუშაოების მსვლელობისას, სამშენებლო ტერიტორიაზე განთავსებული სხვა კომუნიკაციები, ასეთის არსებობის შემთხვევაში, დაიცვას დაზიანებისაგან, ხოლო დაზიანების შემთხვევაში უზრუნველყოს მათი აღდგენა;
- უზრუნველყოს შრომის უსაფრთხოების წესების დაცვა.
- მინიმუმამდე დაიყვანოს მუშაობით გამოწვეული ხმაურის, ვიბრაციის და მტვრის გავლენა;
- სამუშაოების შესრულების პროცესში უზრუნველყოს დამცავ გამაფრთხილებელი თვალსაჩინოებების დაყენება;
- გაუთვალისწინებელი თანხების გამოყენება მოხდება მხოლოდ დამკვეთის ნებართვით, მისივე ინიციატივით ან მიმწოდებლის მიერ დასაბუთებული და არგუმენტირებული წინადადების განხილვის და შეთანხმების საფუძველზე, დამკვეთის (შემსყიდველის) სათანადო გადაწყვეტილების მიღების შემდეგ.
- სატენდერო წინადადებაში საერთო ფასი გამოსახული უნდა იყოს საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული შესყიდვის ობიექტის მიწოდებასთან დაკავშირებული ყველა გადასახადის გათვალისწინებით.
- მიმწოდებელი ვალდებულია სამუშაოები აწარმოოს ხელშეკრულებით გათვალისწინებული გეგმა-გრაფიკის შესაბამისად, მაქსიმალურად უწყვეტ რეჟიმში, ტექნოლოგიური მოთხოვნებიდან გამომდინარე, ყველა შესაძლო სამშენებლო მოედნის ორგანიზებით.
- შესრულებული სამუშაოს სრულფასოვანი ფუნქციონირებისათვის საგარანტიო ვადა შეადგენს 1 (ერთი) წელს სამუშაოს მიღებიდან, რომლის განმავლობაშიც მიმწოდებელი ვალდებულია საკუთარი ხარჯებით უზრუნველყოს ხარვეზების აღმოფხვრა.